

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს სხდომაზე.
ოქმი №6
10 მაისი 2007 წ.

საქართველოს საავიაციო
უნივერსიტეტის დოქტორანტურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი
2007

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის

დოქტორანტურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

წინამდებარე დებულება აწესრიგებს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის - დოქტორანტურის, ფუნქციონირებას.

თავი I. ზოგადი დებულებანი

1.1. დოქტორანტურა არის უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების პროგრამების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრების მომზადებას, მათ საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო სივრცეში ჩართვას, რაც მთავრდება სათანადო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოზე დისერტაციის განხილვის შემდგომ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

1.2. დოქტორანტურაში სასწავლებლად შეიძლება ჩარიცხულ იქნენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, მათ შორის უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულნი, რომლებიც კონკურსში გავიდნენ დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების შედეგად.

1.3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტის უმაღლეს საგანმანათლებლო საკვალიფიკაციო დონეს, რისთვისაც გამოყოფს მეცნიერ-ხელმძღვანელს და უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩატარებისათვის, სათანადო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და ფაკულტეტის საბჭოს დებულებების საფუძველზე.

1.4. დოქტორის აკადემიური ხარისხი ენიჭება პირს, რომელმაც წარმატებით გაიარა დოქტორანტურის 180 კრედიტის (1 კრედიტი = 28 საათი) მოცულობის საგანმანათლებლო პროგრამა, მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო-კვლევით პროცესში და სადისერტაციო საბჭოს წარუდგინა დასრულებული ნაშრომი, რომელიც დაიცვა დადგენილი წესის შესაბამისად.

1.5. დოქტორანტურაში სწავლების დაფინანსების წყაროებია:

- თვითდაფინანსება;
- სახელმწიფო-სამეცნიერო გრანტი;
- საუნივერსიტეტო დაფინანსება;
- ქველმოქმედება;
- კერძო გრანტი.

1.6. დოქტორანტურაში სწავლების საფასურის მოცულობასა და გადახდის წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

1.7. დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება მოხდება "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური დატვირთვის ნორმატივებისა და გაანგარიშების შესახებ" ინსტრუქციის მიხედვით.

თავი II. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები და წესები

2.1. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობაა სავარაუდო მეცნიერ-ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის საბჭოს წინაშე, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს შერჩეული თემის აქტუალურობა და მნიშვნელობა.

2.2. დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელი უნდა იყოს სრული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.

2.3. სადისერტაციო თემა უნდა იყოს შესაბამისი იმ თემატიკისა, რომელიც წარმოდგენილი იქნება სადოქტორო პროგრამაში. ფაკულტეტის საბჭომ უნდა დაადასტუროს ამ სფეროში კვლევის წარმოების რეალური შესაძლებლობა, უნდა განსაზღვროს ზემოთ დასახელებულ მოთხოვნებთან სწავლისა და კვლევისათვის აუცილებელ კომპეტენციათა შესაბამისობა, სადისერტაციო თემის და სამეცნიერო ხელმძღვანელის კომპეტენციის ადეკვატურობა.

2.4. დოქტორანტურაში ჩაბარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს აკადემიური მოსწრება, რაც აისახება სამაგისტრო შრომების შეფასებასა და სამაგისტრო დიპლომის დანართში.

2.5. დოქტორანტურაში ჩარიცხვისათვის რექტორის ბრძანებით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება საგამოცდო კომისიები.

2.6. დოქტორანტურაში სწავლის მსურველი უნივერსიტეტში წარადგენს შემდეგ საბუთებს:

2.6.1. განცხადებას რექტორის სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს მეცნიერებისა და ტექნიკის ის სფერო, რომლის ფარგლებშიც უნდა შესრულდეს სადისერტაციო ნაშრომი;

2.6.2. ავტობიოგრაფიას (CV);

2.6.3. სავარაუდო მეცნიერ-ხელმძღვანელის დასაბუთებულ თანხმობას მეცნიერ-ხელმძღვანელად დანიშვნის თაობაზე;

2.6.4. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის დამოწმებულ ასლს;

2.6.5. ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) C1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (მისი არ ქონის შემთხვევაში აბარებს გამოცდას);

2.6.6. პირადობის მოწმობის ასლს;

2.6.7. შრომითი საქმიანობის დამადასტურებელ დოკუმენტებს;

2.6.8. ძირითად სამეცნიერო ნაშრომებს, გამოგონებებს, სამეცნიერო ანგარიშების სიას და ასლებს;

2.6.9. რეფერატს სადისერტაციო თემატიკაზე და მასზე სავარაუდო მეცნიერ-ხელმძღვანელის რეკომენდაცია-დახასიათებას.

2.7. დოქტორანტურაში ჩარიცხვა წარმოებს კონკურსის წესით, მისაღები გამოცდების ქულათა ჯამური რაოდენობის მიხედვით.

2.8. დოქტორანტურაში გამოცდის შეფასება ხდება ასქულიანი სისტემით. დასაშვები მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სამოცდაათი ქულის ტოლია.

თავი III. დოქტორანტურაში სწავლა-სწავლება

3.1. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობაა მინიმუმ 3 წელი. სასწავლო კომპონენტი შეადგენს კრედიტების საერთო რაოდენობის 1/3, დანარჩენი ეთმობა კვლევას.

3.2. დოქტორანტურაში სწავლა ითვალისწინებს:

3.2.1. სპეციალობის საგნების ღრმა და ინტენსიურ შესწავლას; კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საფუძვლების დაუფლებას;

3.2.2. სადოქტორო პროგრამის მოცულობა ECTS (ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის) 180 კრედიტია;

3.2.3. სადისერტაციო სამუშაოს დაცვისათვის მზაობა განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, ამ მიზნით გამოიყოფა ექსპერტი-წამყვანი ორგანიზაცია;

3.2.4. დოქტორანტი ვალდებულია წელიწადში ორჯერ მაინც წარსდგეს ფაკულტეტის სემინარზე მოხსენებით;

3.2.5. სემინარები ინიშნება ფაკულტეტის დეკანის მიერ, დოქტორანტის ხელმძღვანელის წარდგინებით;

3.3. სადისერტაციო ნაშრომი უნდა იყოს დასრულებული მეცნიერული გამოკვლევა. იგი უნდა წარმოადგენდეს აქტუალური პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელოვან ნაწილს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს, ჰქონდეს პრაქტიკული ღირებულება და წვლილი შეჰქონდეს შესაბამისი დარგის განვითარებაში.

3.3.1. სადისერტაციო ნაშრომი სრულდება ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია (არაუმეტეს 60 ათასი ნიშნისა) ერთ-ერთ უცხო ენაზე.

3.3.2. სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

თავი IV. სადისერტაციო საბჭო და მისი ფუნქციები

4.1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე (ან ერთობლივად რამოდენიმე ფაკულტეტზე) და ფუნქციონირებს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

4.2. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით "უმაღლესი განათლების შესახებ", საქართველოს სხვა კანონმდებლობებით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

4.3. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას და რიცხოვნობას, ფაკულტეტის საბჭოს წარდგენის საფუძველზე, ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ოთხი წლის ვადით.

4.4. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება ერთჯერადად შეყვანილ იქნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტები იმ შემთხვევაში, როცა საბჭოზე განსახილველ ნაშრომში წარმოდგენილი ზოგიერთი საკითხი რამდენადმე სცილდება საბჭოს სპეციალიზაციის ფარგლებს.

4.5. სადისერტაციო საბჭო დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

4.6. სადისერტაციო საბჭო წლიური მუშაობის ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მომდევნო კალენდარული წლის იანვრის ბოლომდე.

4.7. სადისერტაციო საბჭოს სხდომა გადაწყვეტილების მისაღებად უფლებამოსილია, თუ მას ესწრება 2/3-ზე მეტი წევრი და გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა არანაკლებ 3/4.

4.8. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს მოთხოვნებს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაზე: მოცულობას, ფორმატს, შრიფტის ზომასა და სხვა ტექნიკურ მონაცემებს.

4.9. სადისერტაციო საბჭო ქმნის სადისერტაციო კოლეგიებს დისერტაციის დაცვამდე ერთი თვით ადრე. კოლეგიის სხდომის რეგლამენტს განსაზღვრავს სადისერტაციო საბჭო.

4.10. სადისერტაციო საბჭოს საქმიანობას წარმართავს საბჭოს თავჯდომარე ან მისი მოადგილე. მათი არჩევის წესს განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება.

4.11. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანს, თავმჯდომარის წარდგინებით, ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

4.12. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ყალიბდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და სწავლული მდივანი. საჭიროების შემთხვევაში გადაწყვეტილება გადაეცემა ადრესატს.

4.13. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის დაცვის წინ ქმნის საექსპერტო კომისიას, რომელიც შედგება მინიმუმ სამი წევრისაგან, რომელთაც ხმის მიცემის უფლება აქვთ.

4.14. დაცვა არის საჯარო. მისი მსვლელობა და შედეგების გაფორმება მიმდინარეობს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების თანახმად.

4.15. დისერტაციის განმეორებითი დაცვა შესაძლებელია არა აუდრეს 6 თვისა. დოქტორანტის განცხადება, განმეორებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ, სადისერტაციო საბჭოს უნდა წარედგინოს შედეგის გამოცხადების შემდეგ 1 თვის განმავლობაში.

4.16. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს გასცემს უნივერსიტეტი. დიპლომს ხელს აწერენ: რექტორი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

4.17. სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა არის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობის არგაცემის ან ჩამორთმევის საფუძველი. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო სადისერტაციო საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

4.18. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობის არგაცემის ან ჩამორთმევის საფუძველი შეიძლება იყოს პლაგიატის დაფიქსირება. პლაგიატის დაფიქსირების შემთხვევაში დოქტორანტს ეკრძალება ამავე საბჭოზე დისერტაციის დაცვა. დისერტაციის მეცნიერ-ხელმძღვანელის საკითხი გადაეცემა უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტს.

თავი V. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით

5.1. სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით წესრიგდება ამ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტურანტურის შესახებ.

5.2. პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობის შემთხვევაში დოქტურანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს დოქტურანტურაში მიღების პირობებს, განსაზღვერულს ხელშეკრულებით ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ, 5.1.პუნქტის შესაბამისად.

5.3. განცხადებას ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად უნდა დაერთოს პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.

5.4. პარტნიორი ორგანიზაციის მონაწილეობის შემთხვევაში დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელოს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისა და პარტნიორი ორგანიზაციის პროფესორებმა. დაცვას უნდა ესწრებოდეს ერთი ხელმძღვანელი მაინც.

5.5. პარტნიორი ორგანიზაციის პროფესორი, რომელიც თემის ხელმძღვანელობაზე თანხმობას განაცხადებს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს თავის შეფასებას.

VI. თავი გარდამავალი დებულებები

6.1. სადისერტაციო საბჭოს გარდამავალი დებულება შეესაბამება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს ზოგად (საერთო) დებულებას და ითვალისწინებს შემდეგ მოთხოვნებს:

ის პირები, რომლებიც წინამდებარე დებულების ძალაში შესვლის დროისთვის გაფორმებულები არიან როგორც მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მაძიებლები, ჩაითვალოს დოქტორანტებად გათანაბრებულ პირებად;

6.2. გარდამავალ პერიოდში 2008/09 სასწავლო წლის დაწყებამდე, ასევე დოქტორანტებთან გათანაბრებულ პირებად ჩაითვალოს ის პირები, რომელთაც დებულების ძალაში შესვლის დროისთვის დამთავრებული აქვთ ასპირანტურის სრული კურსი და ჩასაბარებელი აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა გამოცდა;

6.3. დოქტორანტებთან გათანაბრებულ პირებს სამეცნიერო ხელმძღვანელი არ შეეცვალოთ. მიუხედავად იმისა, იგი ამჟამად მუშაობს თუ არა აღნიშნულ დაწესებულებაში;

6.4. პირს, რომელსაც 2006წ 31დეკემბრამდე ჩაბარებული ჰქონდა „საკანდიდატო მინიმუმით“ გათვალისწინებული ყველა საგანი, ამასთან საგნის ჩაბარების მოქმედების ვადა ამოწურული არ არის, გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე სამი ნაშრომი სეს-ის მიერ აღიარებულ გამოცემებში და აქვს დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი უფლებზე ეძლევა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს ნაშრომი დასაცავად;

6.5. პირს, რომელსაც 2006წ 31დეკემბრამდე ჩაბარებული ჰქონდა „საკანდიდატო მინიმუმით“ გათვალისწინებული ყველა საგანი, ამასთან საგნის

ჩაბარების მოქმედების ვადა ამოწურული არ არის, მაგრამ არ ჰქონდა გამოქვეყნებული სულ მცირე სამი ნაშრომი სეს-ის მიერ აღიარებულ გამოცემებში და არ ჰქონდა დასრულებული სადისერტაციო ნაშრომი, ჩაეთვალოს ჩაბარებული „საკანდიდატო მინიმუმის“ გამოცდები ჩაბარებულ სემინარებად და უფლება მიეცეს დაამთავროს და წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს ნაშრომი დასაცავად, მხოლოდ მას შემდეგ როდესაც გამოაქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს;

6.6 დოქტორანტებთან გათანაბრებული პირი, რომელიც არ/ვერ ჩააბარებს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდებს დებულებაში მითითებულ ვადებში, ვალდებულია ჩაატაროს ორი სემესტრი და დააგროვოს სავალდებულო 40 კრედიტი;

6.7. დოქტორანტებთან გათანაბრებული პირი, რომელსაც გაუვიდა საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული ჩაბარებული საგნების მოქმედების ვადა (ჩაბარებიდან ხუთი ან მეტი წლის წინ) ვალდებული არის ჩააბაროს იგივე საგნები სემინარის ჩატარების გზით და შეასრულოს თითვეულ საგანში სავალდებულო 40 კრედიტი.

შინაარსი

1. თავი I. ზოგადი დებულებანი	2
2. თავი II. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები და წესები ...	3
3. თავი III. დოქტორანტურაში სწავლება-სწავლა	5
4. თავი IV. სადისერტაციო საბჭო და მისი ფუნქციები	6
5. თავი V. დოქტორანტურა პარტნიორი უნივერსიტეტის მონაწილეობით.....	9
6. თავი VI გარდამავალი დებულებები.....	10